

2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 (CMR 140125619) ხელშეკრულებაზე

თბილისი

29. 05. 2015წ.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო – საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2015 წლის 29 მაისის №3272-2 მოხსენებითი ბარათის და ხელშეკრულების მე-13 მუხლის 13.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა – სამების ეკლესია საავტომობილო გზის კმ.1-კმ.6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია – მშენებლობის სამუშაოების დეტალური საპროექტო – სახარჯთაღრიხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების გაწევის შესახებ მხარეთა შორის 2014 წლის 15 ივლისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. №06-14 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 30 მაისის ნაცვლად გაგრძელდეს 2015 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

2. ზემოხსენებული ცვლილება იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ კ.ნ. N06-14 ხელშეკრულებით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

3. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

4. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

5. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი  
დეპარტამენტის  
თავმჯდომარის მოადგილის  
მოვალეობის შემსრულებელი  
მაია ქალიაშვილი



მიმწოდებელი  
შპს საპროექტო – საკვლევადიებო  
ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“  
დირექტორი  
ტალი ტალიაშვილი

